

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2018 წლის ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დებულებების შესრულების თაობაზე. (საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2017 წლის 10 დეკემბრიდან 2018 წლის 9 დეკემბრამდე ინფორმაციას).

2018 წლის საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდში“ სულ რეგისტრირებულია 3 განცხადება, 3-ივე განცხადება იურიდიულ პირს ეკუთვნის.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ საანგარიშო პერიოდში „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა დაცვით დაკმაყოფილებულია საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე 3-ივე განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა. საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისთვის საანგარიშო პერიოდში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით არც ერთ განმცხადებელს არ მოუპარტავს. უარი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდს არცერთი განმცხადებლისათვის არ გაუცია.

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ“ ფონდის დირექტორის 2016 წლის 5 აგვისტოს N24/1 ბრძანება ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრულია მოსაკრებლის გადახდის გარეშე გასაცემი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობა.

„მოსაკრებლის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ“ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის თანახმად, საანგარიშო პერიოდში არცერთ განმცხადებელს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაუხდია.

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემა პერსონალურ მონაცემთა შესახებ ხორციელდებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორის 2018 წლის 12 დეკემბრის 44/ს ბრძანების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის (მატერიალური და ტექნიკური ფორმით) გაცემით უზრუნველყოფაზე და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ფონდის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსი ანა ბუხრაშვილი.